

საქართველოს კანონი

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.07.96, გვ. 28) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რეგისტრაციისათვის პირი ვალდებულია წარადგინოს განცხადება, რომელშიც უნდა აღინიშნოს პირის სახელი, გვარი, ახალი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და განცხადების წარდგენის თარიღი. რეგისტრაციისათვის განცხადებასთან ერთად წარსადგენი დოკუმენტები განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.“.

2. კანონის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6.

პირისათვის, რომელიც წარადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტებს, დაუშვებელია რეგისტრაციაზე უარის თქმა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. რეგისტრაციის გავლისას დაუშვებელია აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტის მოთხოვნა.“.

3. 20⁸ მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 მარტიდან.